თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4810779

ნომერი: AR1723270

თარიღი : 06.12.2019

გაცემის თარიღი : 30.12.2019

გაცნობის თარიღი : 04.01.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, N 188ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გრიგოლ ზარნაძე პ/ნ 01007012424
- თბილისი ქუთაისის ქ. N 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 იანვრის №4350197 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 6 დეკემბრის №AR1723270 განცხადებით მომართა გრიგოლ ზარნაძემ და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 25

იანვრის №4350197 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2019 წლის 25 იანვრის №4350197 ბრძანებით დამტკიცდა, ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 84 ; ქალაქი თბილისი , გამზირი დ. გურამიშვილი , N 84, N01.12.01.003.134 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სამეურნეო და საწარმოო ობიექტების (საწყობი) მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 25 იანვრის №4350197 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, განმცხადებელი უთითებს, რომ აღნიშნული ბრძანებით მაქსიმალური დასაშვები სიმაღლე და საზოგადოებრივი საზღვრები არასწორად განისაზღვრა და ითხოვს აღნიშნულის შესწორებას.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის 2019 წლის 25 იანვრის №4350197 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით საზოგადოებრივი საზღვრები უნდა განსაზღვრულიყო ჩრდილოეთის მხრიდან, ასევე მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე უნდა განსაზღვრულიყო საზოგადოებრივი საზღვრებიდან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია გაასწოროს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 იანვრის №4350197 ბრძანებაში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 იანვრის №4350197 ბრძანებაში „მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის“ ველში საზოგადოებრივი საღვრები განისაზღვროს ჩრდილოეთის მხრიდან, მაქსიმალური სიმაღლე განისაზღვროს საზოგადოებრივი საზღვრებიდან.
2. სამსახურის 2019 წლის 25 იანვრის №4350197 ბრძანებას დაემატოს დანართი (იხ. დანართი).
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 იანვრის №4350197 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.